

**საქართველოს კანონის პროექტი
ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ**

ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის გაძლიერების წესებს, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას, რეალიზაციას, აგრეთვე, მასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

თავი I ბოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის სამართლებრივი საფუძვლები

ამ კანონის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები, სურსათისა და თამბაქოს შესახებ~, პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ~, სტანდარტის შესახებ~, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ~ საქართველოს კანონები და სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

1. კანონის რეგულირების სფეროა:

ა) ბიოლოგიური მეურნეობის დარგებისა და ბიოლოგიურ მეურნეობაში წარმოებული პროდუქტების (შემდგომში: ბიოპროდუქცია) წარმოებასთან, რეალიზაციასთან, ექსპორტთან, იმპორტთან, სერტიფიცირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები;

ბ) ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის სისტემის მდგრადირეობა პროდუქციის წარმოებიდან ბაზარზე მიწოდებამდე;

გ) იმ ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობა, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დაკავშირებული არიან ბიოპროდუქციის წარმოება-მიწოდების სფეროსთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბიოპროდუქცია იწარმოება პირადი მოხმარებისათვის;

დ) ბიომურნეობის კონტროლისა და სერტიფიცირების განმახორციელებელი სამსახურების აკრედიტაციისა და საქმიანობის პირობები;

მუხლი 3. კანონის მიზნები და ამოცანები

1. ამ კანონის მიზნებია:

ა) საქართველოში სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ბიოლოგიური მეურნეობის სექტორის ჩამოყალიბების გზით;

ბ) ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისა და გაუმჯობესების ხელშეწყობა არასინთეზური სისტემებისა და ბუნებრივი სასუქების გამოყენებით;

გ) ბიოლოგიურად (ეკოლოგიურად) სუფთა პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის წესების დადგენა;

დ) ბიოლოგიურად (ეკოლოგიურად) სუფთა პროდუქციის სერტიფიცირებისა და მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;

ე) მცენარეთა და ცხოველთა მავნებლებისა და დაბადებების წინააღმდეგ ბიოლოგიური მეთოდების გამოყენების სტიმულირება;

ვ) ამ კანონის შესაბამისად სერტიფიცირებული და ეტიკეტირებული პროდუქციის არსებულ საერთაშორისო და მომავალში სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევა;

გ) ბიოპროდუქციით ბაზრის ხელშეწყობა და მის საფუძველზე მწარმოებელია და მომხმარებელს შორის ურთიერთობის განმტკიცება;

- თ) კულტურულ მცენარეთა და შინაურ (ან მოშინაურებულ) ცხოველთა გენოფონდის შენარჩუნება;
- ი) აღგილობრივი მაღალხარისხოვანი პროდუქტების წარმოების გზით კვების მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა და მისი ექსპორტის სტიმულირება;
- კ) ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, როგორც კულტურულ, ასევე ბუნებრივ ლანდშაფტებში;
2. ამ კანონის ძირითადი ამოცანებია:
- ა) სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისას გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება და ეკოსისტემების წონასწორობის შენარჩუნება;
- ბ) ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება;
- გ) სოფლის მეურნეობის სისტემისა და გარემოს გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს კულტურული და ეკოლოგიური მცენარეების, ასევე შინაური და გარეული ცხოველების სასიცოცხლო პირობების შენარჩუნებას;
- დ) ცხოველებისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მათ ბუნებრივ განვითარებას;
- ე) ბიოპროდუქციის წარმოებისას განახლებადი რესურსების გამოყენება;
- მუხლი 4. კანონში გამოყენებული ძირითადი ტერმინები
- ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
- ა) ბიოლოგიური მეურნეობა - სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების მოწესრიგებული სისტემა, რაც მოიცავს მეურნეობის დაგეგმვის, მართვისა და პროდუქციის წარმოების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება ბიოლოგიური აგრიწარმოების საერთაშორისო და სახელმწიფო სტანდარტებს, ხელს უწყობს ცოცხალი თოვანიმტებისა და გარემოს ისეთ ურთიერთდამოკიდებულებას, როდესაც შენარჩუნებულია ბუნებრივი წონასწორობა. ბიოლოგიური მეურნეობის სინონიმებია - ეკოლოგიური, ორგანული;
- ბ) აგროწარმოება _ სოფლის მეურნეობის საწარმოო საშუალებებისა და წარმოების პროცესების ერთიანი კომპლექსი;
- გ) ბიოპროდუქცია - ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის პირობებში მოყვანილი და ბიოლოგიური მეთოდებით გადამუშავებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია (ასევე მისი სინონიმები შეიძლება იყოს - ეკოპროდუქცია, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, ორგანული პროდუქცია);
- დ) ბიოპროდუქციის წარმოება _ ყველა ის საწარმოო პროცესი და მეთოდი, რომელიც მიმართულია სუფთა პროდუქციის (ბიოპროდუქციის) წარმოებისაკენ;
- ე) მზა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი - პროდუქტი, რომელიც მიღებულია ბუნებრივი რესურსების სამრეწველო გადამუშავებით;
- ვ) ბიოლოგიური მეთოდები _ პროდუქციის წარმოების ყველა ის მეთოდი, რომელიც მთლიანდ გამორიცხავს სინთეზური საშუალებებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებასა და გადამუშავებას;
- ვ) ეკოსისტემა - არაკულტივირებულ ფართობებში არსებული პროდუქცია, რომლის საწარმოო პროცესში ადამიანის ჩარევა გამოიხატება მხოლოდ მოსავლის აღებით;
- გ) ეკოსისტემა - ცოცხალ თრფანიმტოა თანასამოგადოება და ის ფიზიკური გარემო, სადაც ისინი არიან დასახლებული;
- ი) განახლებადი რესურსები - ბუნებრივი რესურსები, რომლებიც ხასიათდებიან თვითგანახლებით;
- კ) ბიოდეგრადირებადი მასალა - მასალა, რომლის ბუნებრივი დაშლის გზები (მექნიზმები) არსებობს ბუნებაში;

ღ) მეორადი გამოყენების მასალა (რეციპინებადი) - მასალა ან ჭურჭელი, რომლის ხელმეორედ გამოყენება შესაძლებელია;

მ) სერტიფიცირების სისტემა - ბიოპროდუქციის წარმოების სტანდარტის მიხედვის ბიოპროდუქციის წარმოებაში წესაცდარი პრეპარატთა წესების, სერტიფიცირების ორგანოსა და დამოუკიდებელ ინსპექტორთა აკრედიტაციის მოთხოვნებისა და პროცედურების ერთობლიობა;

ნ) კონვერსიული მეურნეობა - მეურნეობა, რომელიც უკვე იმართება ბიოლოგიური აგროწარმოების მეთოდებით, მაგრამ ჯერ არ არის აღიარებული სერტიფიცირების ორგანოს მიერ, როგორც ბიოლოგიური მეურნეობა

ო) გენერი ინჟენერია - ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა მოლეკულური ბიოლოგიის მეთოდით მცენარეული, ცხოველური, უპრედული და სხვა ბიოლოგიური ორგანიზმების ისეთ მიღებას, რომელიც ვერ მიიღწევა ბუნებრივი სელექციით ან რეკომბინაციით.

პ) სინთეზური ჰესტიციდები - სინთეზური გზით მიღებული ნივთიერებები, რომელიც გამოიყენება სოფლის-მეურნეობაში მცენარეთა მავნებლების, დაკავდებებისა და სარეველების წინააღმდეგ საბრძოლველად.

თავი II. ბიომეურნეობა მემცნარეობაში

მუხლი 5. ბიოპროდუქციის წარმოების პირობები

1. ბიოლოგიურ მეურნეობაში აუცილებელია დაცული იქნეს ყველა შესაძლო პირობა, რათა არ მოხდეს გარემოს დაბინძურება.

2. ბიომეწარმე ვალდებულია დაიცვას ბიომეურნეობის წარმოებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები და წესები.

3. ბიოპროდუქციის წარმოებისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი აუცილებელი პირობები:

ა) ნიადაგის გასანეირებლად გამოიყენებოდეს მხოლოდ ბიოლოგიური და არასინთეზური გზით მიღებული სასუქები, ასევე - ბუნებრივი გაუმდიდრებელი ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები, ამისთან, განოყიერება უნდა ემსახურებოდეს ნიადაგის ბიოლოგიური აქტივობის შენარჩუნებისა და ამაღლების;

ბ) მოსავლის აღების შემდგომ არ უნდა მოხდეს მცენარეული ნარჩენების დაწვა ფართობის გასუფთავების მიზნით;

გ) საკვები პროდუქციის წარმოებისათვის წყლით სარგებლობა რეგულირდება `მელიორაციის შესახებ~ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დ) სათესლე და სარგავი მასალის გამოყვანა და გამოყენება უნდა ხდებოდეს ბიომეურნეობისათვის დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;

ე) მავნებლების, დაცვალებების და სარეველებისაგან მცენარეთა დაცვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ აგროტექნიკური, მექანიკური, თერმული და ბიოლოგიური მეთოდებით და ბიომეურნეობისათვის ნებადართული პრეპარატების გამოყენებით;

ვ) თესლბრუნვების დანერგვის და დაცვის აუცილებლობა.

4. ბიოპროდუქციის წარმოებისას აკრძალულია:

ა) მცენარეთა დაცვისათვის სინთეზური ჰესტიციდების გამოყენება;

ბ) გენური ინჟენერიის მეთოდებით მიღებული ჯულტურებისა და პრეპარატების გამოყენება;

გ) გრძის სინთეზური სტანდარტების გამოყენება.

5. ბიოპროდუქციის წარმოებისას ნებადართული პრეპარატების ნუსხას აღვენს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

მუხლი 6. ბუნებრივი მცენარეები პროდუქციის გამოყენება ბიომეურნეობის პირობებში

1. ბუნებრივი პროდუქციის შეგროვებისას აუცილებელია, რომ პროდუქციის შეგროვებამ უარყოფითად არ უნდა იმოქმედოს ბიოსისტემებზე;

2. საბაფხულო სამოვრებად და სათიბებად უნდა შეირჩეს ველურად მოზარდი მცენარეებით დასახლებული ფართობები, რომლებიც არ მუშავდება ქიმიური პრეპარატებით.

თავი III. ბიომეურნეობა მეცნიერებლებისაში

მუხლი 7. პირუტყვის შეძენა

პროდუქტიული პირუტყვის შეძენა ნებადართულია მხოლოდ ბიოლოგიურ მეურნეობაში.

მუხლი 8. ბიომეურნეობის პირობებში ცხოველთა სამკურნალო

საშუალებების გამოყენება

1. ცხოველთა დააგადებების მკურნალობისას, უპირატყესობა ენიჭება ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებას.

2. აკრძალულია გენერი ინჟენერიის საშუალებით წარმოებული ვაქცინების გამოყენება.

თავი IV. ბიოპროდუქციის გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და შეფუთვის წესი

მუხლი 9. ბიოპროდუქციის გადამუშავების, შენახვის და ტრანსპორტირების პირობები

1. ბიოპროდუქციის გადამუშავება, შენახვა და ტრანსპორტირება უნდა ხდებოდეს ცალკე, სხვა პროდუქციისაგან გამოყოფილად.

2. აკრძალულია ბიოპროდუქციის შენახვა და ტრანსპორტირება სხვა პროდუქციასთან ერთად, თუ ისინი არ არის ერთმანეთისაგან ფიზიკურად გაყოფილი და ნიშანდებული (ეტიკეტირებული).

3. გარემოს ობიექტების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, ბიოპროდუქციის გადამუშავების, შენახვის და ტრანსპორტირებისას მკაცრად უნდა იქნეს დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური წესები, ნორმები, ჰიგიენური ნორმატივები და გარემოს დაცვითი კანონმდებლობა.

მუხლი 10. ბიოპროდუქციის შეფუთვის წესი

ბიომეურნეობაში დასაშვებია მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიებით მიღებული, განახლებადი, მეორადი გამოყენების ან ბიოლეგრადირებადი შესაფუთი მასალის, შესანახი კონტეინერის ან ჭურჭლის გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფებული გარემო ან აცილების დაბინძურების თავიდან აცილებას, გამოყენებული მასალები, კონტეინერები და ჭურჭელი უნდა აქმაყოფილებდეს სანიტარიულ-ჰიგიენური წესების, ნორმებისა და ჰიგიენური ნორმატივების მოთხოვნებს.

მუხლი 11. ბიოპროდუქციის გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და შეფუთვის სტანდარტები

ბიოპროდუქციის გადამუშავება, შენახვა, შეფუთვა და ტრანსპორტირება ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული და საქართველოში მოქმედი სტანდარტების, სანიტარიულ-ჰიგიენურ წესების, ნორმების და ჰიგიენური ნორმატივების მოთხოვნების დაცვით.

თავი V. ბიოპროდუქციის წარმოების კონტროლი, სერტიფიცირება და სახელმწიფო გედამხედველობა

მუხლი 12. ბიომეურნეობის კონტროლი და სერტიფიცირება

1. ბიომედინეობის კონფრონტაცია და სერტიფიცირება ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად.

2. ბიოპროდუქციის წარმოების კონფრონტაცია და სერტიფიკაციის გაცემის ახორციელებს დამოუკიდებელი სერტიფიკაციის ორგანო, რომლის აკრედიტაციასაც ახდენს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სერსათის სამინისტრო, საქართველოს სტანდარტისაციის, მეტოლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო.

3. პროდუქცია შეიძლება იყოს ნიშანდებული (ეტიკეტირებული) როგორც ბიოპროდუქცია, მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და სერსათის სამინისტროს მიერ აკრედიტებული დამოუკიდებელი სერტიფიკაციის ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკაციის საფუძველზე.

4. სამინისტრო ყოველწლიურად აქვეყნებს აკრედიტებული დამოუკიდებელი სერტიფიკაციის ორგანოების ნუსხას, მათი დასახელების, მისამართისა და რეგისტრაციის ნომრის მითითებით.

მუხლი 13. სერტიფიცირების ორგანოს აკრედიტაცია და სახელმწიფო ზედამხედველობა

1. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სერსათის სამინისტროს მიერ სერტიფიცირების ორგანოს აკრედიტაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით და ამ კანონით დადგენილი წესით.

2. აკრედიტაციაზე განაცხადის წარმდგენი ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) წარმოადგენდეს ორგანიზაციას, რომელშიც დასაქმებულ პირებს გააჩნიათ ბიოლოგიური აგროწარმოების სფეროში მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება.

ბ) ამ კანონით დადგენილ ყველა სხვა ღოვემენტებთან ერთად წარადგინოს მონაცემები მასთან დასაქმებული ინსპექტორების შესახებ (კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება და სხვა).

3. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სერსათის სამინისტრო, ზედამხედველობას ახორციელებს ბიომედინეობის სერტიფიცირებასთან და კავშირებული საქმიანობის კანონშესაბამისობას ახორციელებს სპეციალური საკონსულტაციო საბჭოს (შემდგომში; საკონსულტაციო საბჭო) მეშვეობით, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სერსათის მინისტრი.

4. საკონსულტაციო საბჭო არის დარგის მაღალკვალიფიციური მეცნიერებითა და სპეციალისტებით დაკომილებული სათათბირო ორგანო, რომელიც დარგის რეგულირებისათვის ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

ა) სერტიფიცირების ორგანოსა და დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობის სერტიფიცირების პროგრამასთან შესაბამისობას;

ბ) განიხილავს და წარმოადგენს რეკომენდაციებს, სამინისტროს მიერ საჭიროების შემთხვევაში გაცემული სერტიფიკაციის შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩატარებული შემოწმების თაობაზე;

გ) წარმოადგენს წინადადებებს სერტიფიცირების ორგანოს რაიმე დარღვევებზე, მათ შორის, სერტიფიკაციის ან მონაცემების არასწორად გამოყენების შემთხვევაში სერტიფიცირების ორგანოს აკრედიტაციის გაუქმების თაობაზე;

დ) წარმოადგენს წინადადებებს, ინარჩუნებს თუ არა ბიომედინეობა (საწარმო) სერტიფიკაციის მინიჭებულ სტატუსს სერტიფიცირების ორგანოს აკრედიტაციის გაუქმების შემდეგ;

მუხლი 14. აკრედიტებული სერტიფიცირების ორგანოს უფლება - მოვალეობები

1. სერტიფიცირების ორგანოს, რომელიც აკრედიტებულია ამ კანონის შესაბამისად, უფლება აქვს:

ა) მიიღოს განაცხადი, განახორციელოს მეურნეობის, საწარმოს სერტიფიცირება და გასცეს შესაბამისი სერტიფიკაციი ამ კანონის შესაბამისად;

ბ) შეიმუშაოს სერტიფიკაციის სისტემა და წესი, რომლებიც არ უნდა იყოს სახელმწიფო სერტიფიცირების სისტემასა და წესებზე ლიბერალური, აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს და მოთხოვნებს;

2. სერტიფიცირების ორგანო ვალდებულია:

ა) წესრიგში იქონიოს სერტიფიცირების პროცედურების განსახორციელებელი დოკუმენტაცია, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელმწიფო საჩედამხედველო ორგანოსათვის - საბედამხედველო საბჭოსათვის;

ბ)შეიძლებათს სერტიფიცირების საკუთარი პროცედურამა და პროცედურების ჩატარების ისეთი სისტემა, რომელიც შესაძლებელს გახდის პროცედურის წარმოებისა და გადამუშავების მთლიანი პროცესის შემოწმებას;

მუხლი 15. სერტიფიცირების წესი ბიოლოგიური აგროწარმოების პირობებში

1. ამ კანონით დადგენილი წესით ბიომეტროგებები სერტიფიკაციის გაცემა ხორციელდება ბიოლოგიური აგროწარმოების პროცესის შემოწმებით, რაც მოიცავს მთლიან ციკლს დაწყებული მიწის დამუშავებიდან დამთავრებული საბოლოო პროცესის მიღებით.

2. სერტიფიკაციის თრგანო თვალყურს აღეცნებს ბიომეტროგის მიერ ბიოლოგიური აგროწარმოების წესების დაცვას და უზრუნველყოფს სერტიფიკაციის გაცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცედურის წარმოების პირობები შესაბამისობაშია ამ კანონის მოთხოვნებთან.

თავი VI. ბიოპროცესის რეალიზაციის, იმპორტისა და ექსპორტის პირობები

მუხლი 16. იმპორტირებული ბიოპროცესის რეალიზაციის პირობები

1. იმპორტირებული პროცესებია შეიძლება ჩაითვალის ბიოპროცესიად თუ იგი იწარმოება ისეთ ქვეყანაში, სადაც ბიომეურნე არის შესაბამისი სამსახურის კონტროლის ქვეშ;

2. ბიოპროცესის თან უნდა ახლდეს იმპორტირი ქვეყნის სერტიფიკაციის თრგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომელიც წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სერსათის სამინისტრო ყოველ წელიწადს გამოსცემს იმ უცხოური სერტიფიკაციის თრგანოების სისტემის, რომლის მიზანი არიარებული არიან საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად.

4. თუ საქართველოში სარეალიზაციო განკუთვნილი იმპორტირებული ბიოპროცესის სერტიფიკატი არ არის აღიარებული საქართველოში, მაშინ იმპორტირის მთობოვნის საფუძველზე, სამინისტრო ახდენს იმპორტირი ქვეყნის სერტიფიცირების თრგანოს აღიარებას საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. განაცხადი იმპორტირებული ბიოპროცესის შემთხვის შესახებ უნდა წარედგინოს სამინისტროს საქართველოში სარეალიზაციო განკუთვნილი იმპორტირებული ბიოპროცესის სერტიფიკატი არ არის აღიარებული საქართველოში, მაშინ იმპორტირის მთობოვნის საფუძველზე, სამინისტრო ახდენს იმპორტირი ქვეყნის სერტიფიცირების თრგანოს აღიარებას საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 18. ბიოპროცესის წარმოება და ექსპორტი

1. ქვეყნით რეალიზაციისათვის ან ექსპორტის მიზნით ბიოპროცესის წარმოება უნდა შესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას.

2. ბიოპროცესის ეტიკეტზე ან სარეკლამო მასალაზე ვრცელდება „რეკლამის შესახებ~ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები“.

3. ბიოპროცესის ექსპორტირებისას მკაფიოდ უნდა იყოს დაცული მისი წარმოების, შეფუთვისა და ტრანსპორტირების შიდა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებით და რეგლამენტებით დადგენილი წესით.

თავი VII. ბიოპროცესის ეტიკეტირების სისტემა

მუხლი 19. ბიოპროცესის ეტიკეტი

1. ბიოპროცესის უნდა ახლდეს ეტიკეტი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სერტიფიკაციის თრგანოს სამარკო ნიშანს, წარწერას „პროცესია ბიოლოგიური მეურნეობიდან“;

ბ) ბიოპროდუქციის სახელწოდებას, სახეობისა და კლასიფიკაციის დასახელებას, დამზადების ადგილს, თარიღს, შენახვის ვადას;

გ) ბიოპროდუქციის მასისა და მოცულობის მაჩვენებლებს;

დ) ბიოპროდუქციის შემადგენლობის ჩამონათვალს;

ე) ბიოპროდუქციის მწარმოებლის დასახელებასა და იურიდიულ მისამართს.

2. ექსპორტისათვის განკუთვნილი ბიოპროდუქციის ეტიკეტზე უნდა იყოს წარწერა: ‘დამზადებულია საქართველოში.’

3. ბიოპროდუქციის ეტიკეტზე გამოყენებული აღნიშვნები უნდა იყოს შესრულებული სახელმწიფო ენაზე, ან, სახელმწიფო ენასთან ერთად, ერთ-ერთ უცხო ენაზე.

4. ბიოპროდუქციის ეტიკეტზე გამოსაყენებელი ტექსტი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის მიზნით, წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული საქართველოს ენის სახელმწიფო პალატასთან.

5. დაუშვებელია პროდუქციის ეტიკეტზე ‘რეკლამის შესახებ~ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამო ინფორმაციის აღნიშვნა.

თავი VIII. კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის წესი

მუხლი 20. პასუხისმგებლობა ამ კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის

ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 21. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

1. ამ კანონის ამოქმედებისთან დაკავშირებით, მისი ამოქმედებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სერსათის სამინისტრო, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ა) სერთიფირების ორგანოების აკრედიტაციის მოთხოვნებს და პროცედურის აღწერას;

ბ) ცხოველერი და მცენარეული წარმოშობის პროდუქტებისადმი ძირითად მოთხოვნებს, წარმოების პირობებს, დამზადების წესებსა და ტექნიკურ რეგლამენტებს;

გ) ბიოლოგიური პროდუქციის წარმოების, გადამუშავების, შენახვის, შეფუთვის პროცესში ნებადართულ და რეკომენდირებულ ნივთიერებათა ნუსხას.

2. ამ კანონის ამოქმედებისთან დაკავშირებით, მისი ამოქმედებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სერსათის სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიმუშავებს და საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტში დასამტკიცებლად წარადგენს ბიოლოგიური აგროწარმოების, გადამუშავების და ეტიკეტირების სტანდარტებს;

3. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სერსათის მინისტრმა ამ კანონის მიღებიდან 6 თვის ვადაში გამოსცეს ბრძანება ‘აუცილებელი ვაქცინაციისა და ბოოფექნიკური დონისძიებების ჩატარების წესის შესახებ.’

მუხლი 22. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.